პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
სამშაბათი
17
თებერვალი
№ 39
(16469)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვალიდან

KOMUNISTI —

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოციალისტური შეჯიბრების გზით

ბევრ რამდენიმე დღე და ჩვენი ვრცელი სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობას შეუდგება სკკპ XXV ყრილობა. განუზომელია საბჭოთა ხალხის ის უდიდესი შემოქმედებითი შრომა, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის შემართებული მოღვაწეობა, რაც ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შრომითი კოლექტივების ყველა უბანზე თვალნათლივ იგრძნობა.

და ყოველივე ეს განსაკვირველი როდია. საბჭოთა ადამიანებს სურთ ლენინური პარტიის ამ ისტორიულ ფორუმს ხელდამშვენებულნი, ციფრებითა და ფაქტებით გამოხატული ნაშრომ-ნამოღვაწარით, თვალხილული შედეგებით, ცხოვრების ყველა სფეროში მნიშვნელოვანი გარდაქმნებითა და წინსვლით შეხვდნენ.

განა ყოველივე ამას არ მეტყველებს ამასწინათ პრესაში გამოქვეყნებული როგორც სრულიად საკავშირო, ისე რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები? ნამდვილად რომ ყოველი მშრომელის გულს ახარებს ის, რომ მრავალი წლის ჩამორჩენილობის შემდეგ საქართველო მოწინავე რესპუბლიკების რიგებში ჩადგა, ჩვენმა რესპუბლიკამ 1975 წლის სახალხო სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში **უმაღლესი შედეგის მიღწევისათვის** სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელმ დროშა დაამსახურა, ავტონომიური რესპუბლიკებიდან კი აჭარის სსრ რესპუბლიკა დაჯილდოდა. მათთან ერთად არიან აგრეთვე ქალაქი ქუთაისი, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი, აბაშის, გურჯაანის, მახარაძის რაიონები, ცალკეული სამრეწველო და სახოფლო სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები.

და ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების დამრაზმველი, წარმმართველი და დიდი შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. ცხადია, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ენერგიულმა ბრძოლამ, ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის დაუცხრომელმა მოღვაწეობამ, სოციალისტური შეჯიბრების ახლებურად მოწყობამ და მისადმი მუდმივმა ხელმძღვანელობამ წარმატებით შეგვასრულებინა მეცხრე ხუთწლედის დავალებები. ამას, რა თქმა უნდა, ერთხელ კიდევ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებიც ნათლად მეტყველებს. საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკა, ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ბათუმი, სოხუმი, გორი, ზუგდიდი, გიორგა, ტყვარჩელი; რაიონები — მარნეული, სამტრედია, მცხეთა, თელავი, ხაშური, დედაქალაქის ოქტომბრის, ორჯონიკიძის, კიროვის, საქარხნო რაიონები, ბევრი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, მომსახურების ხფეროს საწარმოები, შრომითი კოლექტივები.

ერთი სიტყვით, თვალხილულად იგრძნობა სოციალისტური შეჯიბრების ნამდვილი ნაყოფი, მისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყოველმხრივი გაუმჯობესების შედეგები. სწორედ ამატომ არის, რომ ჩვენი ხალხი — მუშები, კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები ახალი შრომითი შემართებით, ბალისთა და გულწრფელი აღფრთოვანებით ჩაუხვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც მიმართულია მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ახალი მიჯნების, ხატოვნად რომ ვთქვათ, ახალი ხუთწლედის ყამირის წარმატებით ათვისებისათვის.

ამ დიდი შემოქმედებითი შრომის ნამდვილი პროგრამა და სახელმძღვანელო დოკუმენტია დადგენილება „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, რომელიც ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს.

ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობის დღეებში გამოქვეყნდა, საბჭოთა ხალხს ნათელ და სწორ გზას უჩვენებს მეათე ხუთწლედის პირველი წლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დიდი მიზნების მისაღწევად. სწორედ ამატომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს უაღრესად საჭირო დადგენილება — „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ“.

ერთი სიტყვით, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე საქართველოს მშრომელებისათვის მოცემულია საამოქმედო პროგრამა, შემოქმედებითი შრომისა და ახალ წარმატებათა მოპოვების ახპარეზი. ახლა მთავარი და გადამწყვეტი ამოცანა ის არის, რომ ფართოდ და ყოველმხრივ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: **ამაღალლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებისათვის.** ამ დევიზით შრომა და მოღვაწეობა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა — მუშების, კოლმეურნე გლეხობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა დიდი პატრიოტული მოვალეობაა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კომპარტიის სახელოვან ისტორიაში, მთელი სიგრძე-სიგანით გააანალიზა და დასახა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გზები.

ცხადია, ყრილობის მუშაობის შედეგები, დასკვნები საფუძვლად დაედება ჩვენს რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობას, წლევანდელი წლის დავალებათა, ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის მოღვაწეობას.

ახლა რედაქციაში მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებიც ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის, პირობას იძლევიან, რომ მთელ თავიანთ ენერგიას, მეცადინეობას მოახმარენ მეათე ხუთწლედის მთავარი დევიზის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ხორცშესხმისათვის ბრძოლას.

ეს დიდი სახალხო მოძრაობა — სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღება უფრო ეფექტური რომ იყოს, ნაკისრი ვალდებულებები და მათი შესრულება რეალური რომ გახდეს, საჭიროა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, სამეურნეო ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა პრესამ ახალი ფორმებითა და მეთოდებით, ყოველმაირად გამოიყენონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილება, რაც ჩვენს ხალხს მანძილზეა დაგროვებული. სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში. პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ისე უნდა წარმართონ, რომ ეს მასობრივი მოძრაობა იყოს ქმედითი, სულ უფრო მტაცებლებიდან საწარმოო დისციპლინა, ხელი ეწყობოდეს ყაირათიანობას, შრომის ყველა უბანზე თვითეულის გონივრულ მუშაობას.

ახლა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გამოვიყენოთ, ღრმად გავაანალიზოთ და გავავრცელოთ ბარშანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოცდილება, ცოდნა, მუშაობის ხერხები და მეთოდები.

ჩვენმა პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთი შემოქმედებითი, დამჯერებელი მუშაობით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებს უნდა ჩაუნერგონ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გადახარჯვეტი ამოცანების ღრმა გაგება და შეგნებულობა, უფრო ფართოდ განავითარონ მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების მაცოცხლებელი მდინარება, მიიღწიონ იმას, რომ ჩვენს რიგებში აქედანვე არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო, ხაამქრო, კოლმეურნეობა, უბანი, კოლექტივის წევრი.

მაღლა გვეპირის დიდი სახალხო მოძრაობის — სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი დროშა.

ფაბრიკის მეთაური

ნორიოლელ მეფრინველეებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლიანი გეგმა, კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული ახალ ხუთწლედშიც.

მეფრინველეები დადგნენ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვასტეზე და გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ ორი თვის დავალება

ფაბრიკის რიტმულ მუშაობაში, კოლექტივის შრომით წარმატებებში არის მერი მდივნის — სკკპ XXV ყრილობის დელეგატის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის წვლილიც. სურათზე: ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი მ. მდივანი.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნოვატორი მეძღოლი

ამათი ხუთწლედი — ოთხ წელიწადში! ახლახან ასეთი ვალდებულება იკისრა თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ემნაძემ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს მიწინავე მძღოლის საწარმოში და გაიშალა შეჯიბრება, რომლის დევიზია: „ვიმუშაოთ ეფექტიანად, უკვარიოდ, ხუთწლედს მივცეთ გარანტია, რომ თვითეული ჩვენგანი უფუოდ შეუსრულებს ტვირთნიდვის ყოველდღიურ პირად დავალებას“.

ვ. ემნაძე და მისი კოლეგები ახლა სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვასტეზე დგანან და ნაკისრი ორი თვის დავალება ყრილობის გახსნის დღეს გაანაღდონ. მძღოლთა შრომას მეტ ენთუზიაზმს მატებს ის, რომ მათი კოლეგა ვ. ემნაძე სკკპ XXV ყრილობის დელეგატია. სურათზე: ვ. ემნაძე.

ვლ. ბინნაბურაბის ფოტო.

დამკვრელური დღეები

ორ თვეში სამი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება იკისრეს ფოთის საბრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა

ფოთი. ქალაქის მშრომელებმა, რომლებიც ენთუზიაზმით შეუდგნენ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, სიხარულით შეეტყვენ, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკა გასული წლის მაღალი მაჩვენებლებით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ გამარჯვებას ფოთის მშრომელებმა ახალი ვალდებულებით უპასუხეს, იკისრეს წლევანდელი წლის ორი თვის დავალება სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღეს შესრულონ, თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან სამი მილიონი მანეთის პროდუქცია და მოახდინონ მისი რეალიზაცია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ახლა განსაკუთრებულ მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მეთევზეები, რომლებმაც გადაწყვიტეს ორი თვის გეგმა 20 თებერვლისათვის გაანაღდონ, წისქვილ-ქარხნის, ეიმთმეკეთებელი ქარხნის, ნავსაღგურის, მანქანათსამშენებლო, ჰიდრომექანიზმების ქარხნების, ელექტროტექნიკურ საწარმოთა კოლექტივები.

ეს რედაქციას აცნობა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. უბილავამ.

„ПРАВДА“-ს ფურცლებზე ერთვენელი ბიბლიოთეკა

„ბოლშევიკ კერალიოს“ ნომერში ბეჭდავს მეთაური წერილს „პარტიისადმი საქმით ერთგულებ“, რომელიც ეხება თვითეული საბჭოთა მშრომელის დიდ მოქალაქეობრივ მოვალეობას აქტიურად მონაწილეობდეს თავისი კოლექტივის საქმიანობაში, გრძნობდეს პასუხისმგებლობას ხალხთა ხალხისათვის.

სარედაქციო სტატიაში — „თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელი ერთიანობა“ — განხილულია პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ ახლახან გამოცემული კრებული — „სკკპ XXV ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა“.

ეს სტატია დაიბეჭდება „კომუნისტის“ ხვალინდელ ნომერში.

გასული კვარის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებზე მკითხველებს ესაუბრება „პრავდის“ პოლიტიკური მიმომხილველი ო. ორეხტოვი.

საბჭოთა მეცნიერების დიდ პასუხსაგებ ამოცანებს ეძღვნება გაზეთის 16 თებერვლის მეთაური წერილი „მეცნიერები — სახალხო მეურნეობას“.

ამავე ნომერში დაბეჭდილია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ამსახველი ყოველთვიური თემატური გვერდი სათაურით „მუშაობლიური პარტიის ყრილობას რომ ვხვდებით“.

საქართველოს სსრ სოფლის მშენებლობის მინისტრის ი. ხარატიშვილის წერილში, „პოოპერაციის ნაყოფი“, რომელიც გამოქვეყნებულია ყოველდღიურ თემატურ გვერდში საერთო სათაურით „მეათე ხუთწლედის ზღვდეები“, ლაპარაკია საქართველოს სს რესპუბლიკაში საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციათა საქმიანობის კოოპერაციულ საწყისებზე წარმართვის პირველ დადებით შედეგებზე, მის ეფექტიანობაზე.

მაგრამ ამ დადებითი პრაქტიკის დანერგვაში არის ხიძნელეებიც, რაც უწინარეს ყოვლისა, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას ეხება. ჯერ კიდევ დაბალია საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი მატერიალური რესურსების ნორმები, სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების ნორმებთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით, დასასკვნის მინისტრი, მიზანშეწონილი იქნებოდა შეგვეტანა სათანადო კორექტივები XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში და სპეციალურად გაგვეხილა საკითხი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაძლიერების შესახებ.

ინსბრუკში ზამთრის XII ოლიმპიური თამაშების დამთავრებასა და დახურვის ხაზეთმო ცერემონიას მკითხველებს აცნობს „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტების წერილი.

დოკუმენტების კრებული

გამოვიდა მეათე ტომი პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ მომზადებული დოკუმენტების კრებულისა. „პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სამეურნეო საკითხებზე“. ტომში შეიდა 1973 წლის ოქტომბრიდან 1975 წლის ოქტომბრამდე პერიოდში გამოქვეყნებული ძირითადი დოკუმენტები.

ტომში შესული ყველა აქტი ძალამოსილია. მთელი რიგი დოკუმენტები პირველად ქვეყნდება.

კრებული შედგენილს კ. უ. ჩერნენკომ და მ. ს. სმირტიუკოვმა.

(საკდესი).

ეხმაურებიან ახალ ინიციატივას

თაოსნობას — ფართო გზა

რესპუბლიკის ყველა რაიონში მხურვალედ გამოეხმაურნენ. სიღნაღის, აბაშისა და გალის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკთა პატრიოტულ თაოსნობის, რომლებმაც მექანიზატორის საყოველთაო სწავლება გამოაცხადეს. მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე საქართველომ უნდა მოამზადოს 30.000 მექანიზატორი.

— ახალ ხუთწლედში, — თქვა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰ. ხუციშვილმა, — ჩვენი რაიონის მიწათმოქმედნი აპირებენ მნიშვნელოვნად გაადიდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა. მოწონაგი მეურნეობანი გამოცდილება გვაორწმუნებს, რომ საამისო რეზერვები გვაქვს. ყველაზე მთავარია ტექნიკის დიდმწარმოებლური გამოყენება, მინდვრის მთელი სამუშაოების საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დამთავრება.

რაიონში ფართოდ გამოეხმაურნენ სიღნაღელთა, აბაშელთა და გალელთა მოწოდებას, გადაწყვეტილია ორ წელიწადში მოამზადონ 300 მექანიზატორი ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 275-ისა. 30 ქალიშვილი— დაეუფლება ტრაქტორისტის პროფესიას. „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებასთან იხსნება კურსები, რომელიც მოამზადებს 50 მექანიზატორს. რაიონული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებიც შეისწავლიან კურსებზე ტრაქტორის ტარებას. (საქინფორმი).

მეათე პირობა

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების 1976 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

დადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 250 ათასი მანეთი იქნება; დაანერგოთ პროდუქციის ხარისხის ორგანიზაციისა და მართვის სისტემა; გეგმის გადამეტებით ჯანმახორციელოთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებანი, რომელთა პირობითი წლიური ეკონომიური ეფექტი ხუთი ათასი მანეთი იქნება.

თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატი

გამოვუშვათ 100 ათასი ბოთლი ზეგეგმითი შამპანური; გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ორი პროცენტით; შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება ათი ათასი მანეთით; მივიღოთ 30 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგრირება; წარმადგინოთ ორი საჭიროების პროდუქცია ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე; გავადიდოთ ფონდუკუგება 0,02 მანეთით; შევამციროთ ხელის შრომის ხვედრითი წონა 20 პროცენტით შრომატევადი პროცესებისა და სტრანსპორტრ სამუშაოების მექანიზაციის გზით; დაეზოგოთ 95 ათასი კილოვატ-საათ ელექტროენერგია. და პირობითი სათბობი.

გათვალისწინებულია სხვადასხვა ტექნიკური სიახლის დანერგვისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი.

„საქელექტრომოტაჟის“ ტრესტი

ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეგასრულოთ 25 დეკემბრისათვის; გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 0,1 პროცენტით გეგმასთან შედარებით; შევამციროთ თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 0,2 პროცენტით, აქედან 0,15 პროცენტით მასალების დაზოგვის გზით; მივიღოთ 20 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება; ჩავაბაროთ ობიექტები მინიმუმ „კარგი“ შეფასებით; გადავიყვანოთ სამეურნეო ანგარიშზე ელექტრომემონტაჟეთა კიდევ სამი ბრიგადა; რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მივიღოთ 242 ათასი მანეთი წლიური ეკონომიური ეფექტი; ვადამდე დავამთავროთ ელექტროსამონტაჟო სამუშაოები სასკოლო მშენებლობის ობიექტებზე, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვის, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტებზე, შევამციროთ ხელის შრომა 10 პროცენტით 1975 წლის გეგმასთან შედარებით; გავადიდოთ ფონდუკუგება 2,5 პროცენტით 1975 წელთან შედარებით.

საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგთა და ინჟინერ გეოლოგთა ექსპედიცია

ვალდებულ ერთი კვარტალით ადრე წარადგინოთ დასაბუქებლად ანგარიში ქალაქ ხაშურის წყალსადენის საექსპლოატაციო მარაგის გაანგარიშებითურთ და დადამთავროთ საველე სამუშაოები დეტალური დაზვერვის ორ ობიექტზე;

სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის გადავცეთ ასათვისებლად ორი საბადო — მტკნარი მიწისქვეშა წყლისა მდინარე ბურსის მიდამოებში და ნაქალაქევარძიის მინერალური წყლისა; გავიყვანოთ წლის განმავლობაში დამტკიცები 20 არტეზიული ჭაბურღილი; სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების გზით გადაჭარბებით შეგასრულოთ ბიდროსამეელიორაციო და საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის გეგმა;

ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების გზით მივიღოთ 35 ათასი მანეთი პირობითი ეკონომია; შევამციროთ მიწისქვეშა წყლების დაზვერვის ხვედრითი დანახარჯები 20 პროცენტით;

ცალკეულ შემსრულებელთა ავალიფიკაციის ამაღლების გზით პირადი შემოქმედების გეგმების, სამუშაოთა ორგანიზაციის სრულყოფის, ავლენის ახალი მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის დროს სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან თანამეგობრობის საფუძველზე საფუძვლიანად გადაწყვეტილი გვაქვს უზრუნველვყოთ გეოლოგიური ანგარიშების დაცვა მხოლოდ „კარგსა“ და „ფრიადზე“.

(საქინფორმი).

ნაყოფიერი მუშაობისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სიგელები გადასცეს ქალთა დიდ ჯგუფს, რომლებსაც ეს წოდებანი მიენიჭათ ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით სხვადასხვა დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა გადასცა სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის, დამსახურებული ეკონომისტისა და დამსახურებული ბუღალტრის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

იმათი სახელით, ვისაც საპატიო წოდებანი მიენიჭათ, გამოვიდნენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს განყოფილების უფროსი მ. გოქსაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფისების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი ე. კანკავა, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მთავარი ბუღალტერი ე. ახობაძე, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ განყოფილების გამგე ე. ხუნდაძე, რომლებმაც სულითა და გულით უძღვნეს მადლობა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

პ. გილაშვილმა ცულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთა და გამოთქვა რწმენა, რომ ისინი მთელ ძალღონეს, მდიდარ გამოცდილებას, ცოდნას მოახმარენ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

(საქინფორმი).

საკლესიო ცნობა

დამთავრდა „სოიუზ-20“ უპილოტო ხომალდის ფრენა

1976 წლის 16 თებერვალს დამთავრდა „სოიუზ-20“ უპილოტო ხომალდისა და „სალუტ-4“ ორბიტული სადგურის ერთობლივი ფრენის დასახული პროგრამა.

„სოიუზ-20“ ხომალდი დედამიწიხირგვლივ ორბიტაზე გაუვანილი იყო 1975 წლის 17 ნოემბერს, 19 ნოემბერს კი იგი შეუერთდა „სალუტ-4“ სადგურს, რომელიც 1974 წლის 26 დეკემბერს გაუშვეს.

ხომალდისა და სადგურის სამი თვის ფრენის მანძილზე მიღებულია ორივე კოსმოსური აპარატის კონსტრუქციისა და საბორტო ხიხტემების დახვეწისა და გამოცდის დიდმნიშვნელოვანი შედეგები.

16 თებერვალს მოხდა ხომალდისა და სადგურის განპირაპირება და გაანგარიშებულ დროს ჩაერთო ხომალდის სამუშრუბო ძრავის დანადგარი. დასაშვები აპარატის მართული და რბილი დაჯდომა მოხდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გაანგარიშებულ რაიონში.

„სალუტ-4“ სადგური განაგრძობს ფრენას დედამიწისირგვლივ ორბიტაზე. სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

□ **მოსკოვი.** 14 თებერვალს დედაქალაქის მეტრომ წლის დამდეგიდან მე-250-მილიონე მგზავრი გადაიყვანა.

□ **რიგზანი.** პირველი აგრეგატის ამუშავებიდან მეათე მილიარდი კილოვატსაათი ენერგია გამომუშავა რიაზანის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა.

□ **ტაშკენტი.** ტაშკენტის აგრეგატების ქარხნის სტუდიაში შექმნილი კინოფილმით „ვეტერანთა მშვიდობიანი შრომა“ აქ გაიხსნა უზბეკეთის დედაქალაქში პირველი მოყვარულთა ფილმების ფესტივალი.

□ **ალმა-ათა.** საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაკეთობათა ქარხანამი გაიხსნა პოლიტიკური და ტექნიკურ-ეკონომიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც უკვე მეასეა ყაზახეთის დედაქალაქში. (საკდესი).

სახალხო კონტროლის ორგანოების ძალა პარტიული ხელმძღვანელობა

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კონტროლის ორგანოებს სულ უფრო დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ იმის გამო, რომ რთულდება კომუნისტური შენებლობის ამოცანები, საჭირო ხდება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება. 11 თებერვალს გამართულ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აღინიშნა ამ ორგანოების განსაკუთრებით დიდი როლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების ფაქტიური შესრულების სისტემატურ შემოწმებაში, კომუნისტური შენებლობის ხელმძღვანელობის სრულიფოფაში, ეკონომიკის ყოველნაირად ამაღლებისათვის ბრძოლაში, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაში.

კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სახალხო კონტროლისა და ხელმძღვანელობის პროგრამაა, საერთო-პარტიული მნიშვნელობის დოკუმენტია, და კვლავ მკაფიოდ ადასტურებს პარტიის ზრუნვას იმისათვის, რომ გაძლიერდეს სახალხო კონტროლის ორგანოების — სახელმწიფოს მართვაში მასების ჩაბმის ამ ერთ-ერთი ქმედითი საშუალების როლი.

რესპუბლიკის პარტიულმა აქტივმა პრინციპული, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე საქმიანად და კონკრეტულად, მაღალი მომთხოვნელობის პოზიციებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააანალიზა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შედეგები, დასახა მისი შემდგომი გაუჯობესების ღონისძიებები.

□

დიდი აღმავლობის ვითარებაში

დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანები დგას სახალხო კონტროლიორთა წინაშე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში. საქართველოს კომუნისტთა ფორუმმა ცხადყო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ურყევი ერთიანობა და შეკავშირება ჩვენი პარტიის მებრძოლი შტაბის — სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო, რომლებიც უდიდეს დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ რესპუბლიკურ პარტიულ ორგანოებს.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ საფუძვლიანად გააანალიზა რესპუბლიკის ცხოვრება უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაზღვრა მისი შემდგომი აღმავლობის პერსპექტივები პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის მორიგი ყრილობა საეტაპოა. მან დიდი შეფასება მისცა ყოველივე დადებითს მეცხრე ხუთწლედის წლებში თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის გარდაქმნისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, რესპუბლიკის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებსა და მიღწევებს. ამასთანავე ყრილობაზე ჯერეროვნად იყო შეფასებული ბევრი მოვლენა, ტენდენცია და განწყობილება, რომლებიც არ შეესაბამება ჩვენი საბჭოური სოციალისტური ცხოვრების წესს. ყრილობის ღრმა შინაარსი, კრიტიკული და ემოციური განწყობილება—ყოველივე ეს საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისათვის, მთელი რესპუბლიკისთვის უდიდესი მორალურ პოლიტიკური ფასეულობაა და პეშმარიტად წარუვალი მნიშვნელობა აქვს.

პარტიული აქტივის კრების მთელი მუშაობა რესპუბლიკის კომპარტიის XXV ყრილობის წარუშლელი თანმგეზდილებით მიმდინარეობდა.

ერთ-ერთმა დელეგატმა — მუშამ, აღინიშნა აქტივის კრებაზე, შენიშნა, რომ ეს ყრილობა წინა ყრილობისაგან, რომელსაც ესწრებოდა, იმით განსხვავდება, რომ ზუსტად იყო დაცული პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, გამსჭვალული იყო ადამიანზე ფიქრით, არ იგრძნობოდა პარადულობისა და ერთმანეთის ხტუნის ატმოსფერო. მე ძალიან მომეწონა, — თქვა მან, — რომ ყრილობაზე გულწრფელი, პირადი ნებისა და ენერგიულად პატიოსანი თვითკრიტიკისა და კრიტიკის ვითარება სუფევდა; უპრინციპობას, ფლექვნელობასა და მაამებლობას კი, რომლებიც ყველა ჩვენი წინანდელი უბედურების წყარო იყო, ბრძოლა გამოეცხადა.

კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გულდასმით, საფუძვლიანად და ყოველმხრივ შევისწავლოთ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მასალები, გადავაქციოთ ისინი სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკთა და აქტივისტთა სამაგალო დოკუმენტად. როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიელის, რომ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი, ადგილობრივი კომიტეტები უფრო რადიკალურად გაუუმჯობესებენ საქმიანობას ყველა რგოლში, უფრო აქტიურად იმუშავებენ ყოველივე იმის გამოსავლინებლად და აღმოსაფხვრელად, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას.

იმ პერიოდში, როცა რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელდა შეცდომები, ხარვეზები, ნეგატიური მოვლენები და ჯეროვან აქტივობასა და პრინციპულობას არ იჩენდნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, შესულტდა აგრეთვე საკონტროლო ორგანოების, მათ შორის სახალხო კონტროლის ორგანოების მებრძოლურობა და აქტივობაც. ამჟამად ისინი განმტკიცდნენ ორგანიზაციული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობა. სახალხო კონტროლიორები უფრო ფართოდ და ღრმად სწავლობენ ეკონომიკის საკითხებს, გადაუწყვეტელ პრობლემებს, იღებენ უფრო ქმედით ღონისძიებებს მდგომარეობის ბოროტად გამოყენების პროფილაქტიკისათვის, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის საბრძოლველად.

მეათე ხუთწლედში დასახული ამოცანების სირთულეის არის, რომ თანამედროვე დიდი მოთხოვნების სულისკვეთებით მიეყოფოთ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

პარტია სახალხო კონტროლის ყოველი კომიტეტისაგან, ჯგუფისა და საგუშაგოსაგან სახალხო კონტროლის ორგანოების თვითეული მუშაკისაგან მოითხოვს მეტ უკუგებას, მინიჭებული დიდი უფლებებისა და შესაძლებლობების უფრო ეფექტიან გამოყენებას, კომუნისტური შენებლობის აქტუალური და პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტაში თავისი ადგილისა და წვლილის ზუსტ განსაზღვრას.

სახალხო კონტროლიორების საბრძოლო პროგრამა

ახორციელებენ რა კონტროლის გაძლიერების ღონისძიებებს, ჩვენი პარტია, ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობენ ვ. ი. ლენინის მითითებებით, რომელსაც კონტროლი საგანგებო ღონისძიებად და მარტო სპეციალური საკონტროლო ორგანოების საქმედ კი არ მიიჩნდა, არამედ პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თვითეული ნებისმიერ პოსტზე მომუშავე ხელმძღვანელის ორგანიზატორული მუშაობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას შესრულების შემოწმებაში.

ლენინის ამ იდეას ჩვენმა პარტიამ ხორცი შეასხა სახალხო კონტროლის ორგანოებში. პარტიას ისინი თავის პირდაპირ და უშუალო თანაშემწეებად მიაჩნია ეკონომიური და სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში.

უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამას ისახავს მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებს პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია დადებითი მხარეები პარტიული ორგანიზაციისა და სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში, მხილებულია არსებული ნაკლოვანებები, დასახულია კომიტეტების, ჯგუფების, ყველა სახალხო კონტროლიორის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები. დადგენილება, რომელიც ამომწურავად და კონკრეტულად განსაზღვრავს პარტიული ორგანიზაციებისა და საკონტროლო ორგანოების ამოცანებს, იყო ამის ახალი გამოვლინება, თუ რაოდენ ზრუნავს პარტია ქვეყნის სახალხო კონტროლის განმტკიცებისათვის, მისი ქმედითობის გაძლიერებისათვის. ჩვენი პარტია, ცენტრალური კომიტეტი, აღინიშნა აქტივის კრებაზე, თანმიმდევრულად ახორციელებენ საზოგადო და სახელმწიფო საქმეთა მართვაში მშრომელთა მასების როლის შემდგომი ამაღლების გზებს, ბეჯითად იღვწიან, რომ საკონტროლო ორგანიზაციები რაც შეიძლება უკეთ წყვეტდნენ თავიანთ ამოცანებს, მართლაც სანიმუშონი და მაღალავტორიტეტიანნი იყვნენ.

სახალხო კონტროლის ორგანოების ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს იმ დიდი ყურადღების, მხარდაჭერისა და პრაქტიკული დახმარების მნიშვნელობა, რომელსაც ამჟამად სახალხო კონტროლის ორგანოს უწევენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, ყველა პარტიული ორგანიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა დაიცვან ლენინური მოთხოვნა შემოწმებაზე, გაკლოვანებათა აღკვეთისა და გამოსწორების ორგანული ერთიანობის შესახებ. ბევრ შემთხვევაში სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებები, აღნიშნეს ორატორებმა, ზერელეა, ზოგჯერ კი ნაკლებად კომპეტენტურიც. ბუნებრივია, რომ ასეთ კონტროლს არ მოაქვს მოსალოდნელი სარგებლობა. ეს იმით აიხსნება, რომ ბევრი კომიტეტი და ჯგუფი თავიანთ საქმიანობაში ჯერ კიდევ ხშირად სჯერდებიან მხოლოდ გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღნუსხვას. ხშირად ისინი ქსაქსაენენ თავიანთ ძალებს, დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიუყვათ, გადაყოლილი არიან რიცხობრივ მხარეს, იკიდებენ. რომ კონტროლის ეფექტიანობა განისაზღვრება არა შემოწმებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობით, არამედ რეალური შედეგით — საქმის გაუმჯობესებით.

აქტივის კრებაზე გამოსულებმა იოსპარაკეს კონტროლის ქმედითობის ლენინური გაგების შესახებ. ეს საქმის მდგომარეობისა და ნაკლოვანებების უბრალო ფოტოგრაფირება კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, — გამოვლენილი ხარვეზების უნარიანი გამოსწორება, აქტიური ზემოქმედება იმათზე, ვინც უშუალოდ აგებს პასუხს ამ თუ იმ უბანზე ან მთლიანობაში ორგანიზაციისათვის, ნაკლოვანებების წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრისათვის. უკეთესია ნაკლებად მოვაწყოთ შემოწმებანი, მაგრამ მიეღწიოთ იმისა, რომ თვითეულ შემოწმებას კონკრეტული სარგებლობა მოჰქონდეს. კონტროლი ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების შესაბამისი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობის ორგანიზაციის სისტემისა და სტილის სრულყოფას. აღინიშნა, რომ აპარატის მუშაობის გაუუმჯობესებლად ვერავითარი კონტროლი ვერ გამოიღენს, მით უმეტეს, თავიდან ვერ აგვაცილებს სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებისა და უყაირათობის გამოვლინების შემთხვევებს.

ეკონტროლებდეთ, აღნიშნეს გამოსულებმა, ეს ნიშნავს აქტიურად ეხმარებოდეთ პარტიას, უზრუნველყოფდეთ მისი გადაწყვეტილებებისა და მითითებების უფუო შესრულებას, სწრაფად და ზუსტად ვასრულებდეთ დასახულ გეგმებსა და დაიალებებს, დროულად აღმოვფხვრიდეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებს, თავიდან ვიცილებდეთ მათ.

ყველა გამოსვლა გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ როცა ეფერდნობით ცენტრალური კომიტეტის, პარტიული ორგანიზაციების უდიდეს დახმარებასა და მხარდაჭერას, საჭიროა თანამშრომლურად და ბეჯითად ვეწყობდეთ ხელს თვითეული კომიტეტის, ჯგუფისა და საგუშაგოს მუშაობის შემდგომ გააქტიურებას, სრულყოფდეთ მათი პრაქტიკული საქმიანობის მეთოდებს.

კონტროლის ქმედითობის, შედეგიანობის ამაღლება უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ მუშაობენ თვით სახალხო კონტროლიორები, რა პოზიცია უკავიათ მათ — აქტიური თუ პასიური ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ყოველნაირად ვაქეთარებდეთ და ხელს ეუწყობდეთ სახალხო კონტროლიორების ინიციატივას, ეიღწოდეთ იმისათვის, რომ ისინი მწვავედ და შეურიგებლად ეხმაურებოდნენ ყოველგვარ დარღვევებს, იჩენდნენ სიმტკიცეს მათი აღმოფხვრის საქმეში.

სახალხო კონტროლის გაძლიერების გადამწყვეტი პირობაა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის დონის ამაღლება. ისინი კონტროლის სისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენენ, და ამიტომ მათი ორგანიზაციული განმტკიცება, მათი პრაქტიკული საქმიანობის მიმართულების ყოველდღიური სრულყოფა მუდამ უნდა იდგეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების ყურადღების ცენტრში.

იქ, სადაც ჯგუფები და საგუშაგოები ნაყოფიერად მუშაობენ, ინიციატივასა და პრინციპულობას იჩენენ, უნარიანად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, ნამდვილად არის უზრუნველყოფილი მშრომელთა ფართო მასების სისტემატური კონტროლი, ქმედით დახმარებას უწევენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჯგუფები და საგუშაგოები, საჭიროა უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ მათში საქმიანი მუშაკების შერჩევა, რომლებიც მთლიანად უპასუხებენ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ მოთხოვნებს სახალხო კონტროლიორებისადმი. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჯგუფებისა და საგუშაგოების მომავალი ანგარიშგება-არჩევნები სახალხო კონტროლის ყველა რგოლის შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცებისათვის.

ამჟამად რესპუბლიკის ჯგუფებსა და საგუშაგოებში 240 ათასამდე სახალხო კონტროლიორია. ეს დიდი ძალაა, მაგრამ სახალხო კონტროლიორთა რიცხვი არ შეესაბამება მიღწეულ შედეგებს.

სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აქტიურად დაუჭირონ მხარი ჯგუფებისა და საგუშაგოების წინადადებებსა და რეკომენდაციებს, შეუქმნან მათ მუშაობის პირობები.

კველაკე უნდა გაუმჯობესდეს სახალხო კონტროლის ორგანოთა სტრუქტურა საწარმო-დაწესებულებებში.

აქტივზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველა კომიტეტში უნდა მოქმედებდეს მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების შესრულებისადმი კონტროლის მტკიცე სისტემა, უნდა დადგინდეს პერსონალური პასუხისმგებლობა ამ საქმის ორგანიზაციისათვის.

არცთუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“. მაგრამ, აღინიშნა პარტიული აქტივის კრებაზე, ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი უკვე დამრაზმველ გავლენას ახდენს პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაზე. მაგალითისათვის, რომელიც მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, მოიყვანეს მთელ რიგ შემოწმებათა დადებითი გამოცდილება, რომლებიც მოაწყვეს თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე ვ. ს. ჯანჯღავა), აგრეთვე რუსთავის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე თ. ი. ხაზარაძე), სამტრედიის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ბ. ვ. ფოცხვერაშვილი) და სხვებმა.

ბევრი კარგი საქმე გაკეთეს თბილისის „ფოლადთუჯსამსხმელო“ ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე ე. ს. მირზოეევა), ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა (თავმჯდომარეები ზ. მ. დოლბაია და ვ. ა. იგნატენკო), სოხუმის ავიარაზმის. სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე ნ. ა. კაშინი), ჩოხატაურის რაიონის სოფელ განსახლების კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე რ. ა. ყაჟეიშვილი) და სხვებმა.

მადლობის ღირსნი არიან სახალხო კონტროლიორების მრავალათასეანი არმიის წევრები, ჩვენი ფხიერი ვეშაგები, — დღეგანდელი აქტივის მონაწილენი: ფ. ნ. მოსესოვი — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი; ს. ლ. ნიკოლაიშვილი — მეჩაიე, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი, სოციალისტური შრომის ორგანული, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ი. მ. ისაევი — კიზნისის მეშოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი; შ. ბ. ლომინაძე, — თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის შტატგარეშე მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი და სხვები.

პარტიული აქტივის კრებამ ხაზი გაუსვა, რომ ნაკლოვანებები, რომლებიც აღნიშნულია „ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დამახასიათებელია აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის პარტიული ორგანიზაციებისა და ორგანოებისათვის, და წამოაყენა წინადადება, რომ დადგენილებაში მოცემული რეკომენდაციები გახდეს სახალხო კონტროლის ორგანოების მთელი მუშაობისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის საფუძველი ჩვენს რესპუბლიკაში.

მთავარი ყურადღება — უმნიშვნელოვანეს პრობლემებს

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უკანასკნელი ხანს შესაბამისად გააუმჯობესა საქმიანობა. კომიტეტი მეტს მუშაობს დიდ, ფუნდამენტურ საკითხებსა და პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს საქმის ვითარებაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიურ დარგებში: გაიზარდა კადრებისადმი მომთხოვნელობა მინდობილი საქმისათვის, გადაწყვეტილებათა ეფექტიანობისათვის. ამან დიდად შეიწყო ხელი წარმატებათა მიღწევას, რომლებთაც დაამთავრა რესპუბლიკამ მეცხრე ხუთწლედი და რომლებისთვისაც დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საკონტროლო მუშაობის ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული მიმდინარე მომენტის ყველაზე აქტუალური ამოცანების განსაზღვრის უნარზე. ყოველწლიურად მარტო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტები განიხილავენ ოთხი ათასზე მეტ საკითხს. ყველა ეს საკითხი როდია მნიშვნელოვანი და აქტუალური. რა თქმა უნდა, განაკვდეს ორატორებმა, საჭიროა გამოვეხმაუროთ ყოველ ცალკეულ, თუნდაც წვრილმან დარღვევათა ან ნაკლოვანებათა ფაქტს. მაგრამ ამასთანავე საჭიროა სახალხო კონტროლიორებს შეეძლოთ პატარაში დიდის დანახვა, ცალკეული დაკვირვებებიდან თვითონ განზოგადებამდე მისვლა. ყველაფრისადმი სახელმწიფო პოზიციიდან მიდგომა. ჯერ კიდევ ნაკლებად ისწავლობთ მასშტაბურ, საპრობლემო საკითხებს, რომლებიც შეეხება სამინისტროებს, უწყებებს, თვით სახალხო კონტროლის კომიტეტების საქმიანობას. ეს ნაკლი უახლოეს ხანში უნდა აღმოიფხვრას.

სახალხო კონტროლის კომიტეტები ჯერ კიდევ აშვიათად აანალიზებენ საქმის ვითარებას ადგილებზე, განსაკუთრებით მიზეზებს, რომლებიც სხვადასხვაგვარ ნაკლოვანებებსა და საპრობლემოდარღვევებს წარმოშობენ, არ იღებენ ღრმად გააზრებულ წინადადებებს მეურნეობრიობის ყველა უბანზე სახელმწიფო დისციპლინის ყოველნაირად განტკიცების შესახებ. მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა 1973-1975 წლებში შეამოწმა სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობა 16 ორგანიზაციაში და მიიღო 12 ერთმა დადგენილება. მაგრამ ამისათვის გაწეულ შრომას სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. დატაცება გრძელდება, და მნიშვნელოვანი მასშტაბითაც.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის წარმატებით საბრძოლველად საჭიროა გავაერთიანოთ ყველა ორგანოს, მათ შორის, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა ორგანოების ძალები, და, მეორე მხრივ, სახალხო კონტროლის ძალები, შევქმნათ უყაირათობის, ბოროტმოქმედების, ყოველივე ამისადმი გულგრილობის წინააღმდეგ შეტევის ერთიანი ფრონტი, რადგან ეს მოვლენები სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის ჩვენი საზოგადოების წინსვლის გზაზე.

წვრილთემიანობა, საშუალოზროვნება, დამახასიათებელია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ბევრი კომიტეტისათვის და ზოგს ფორმალურ, ნაკლებად ეფექტურ, ზოგჯერ კი სრულიად უსარგებლო დადგენილებებს, რომელთა მომზადებას ხშირდება ბევრი კვალიფიციური ადამიანის შრომა. ბუნებრივია, რომ შემდგომში ძნელია ასეთი დადგენილებათა შესრულების გაკონტროლება. სახალხო კონტროლის ყველა კომიტეტი ვერ უზრუნველყოფს საკუთარ ვადაწყვეტილებათა შესრულებას ჯეროვან შემოწმებას. მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკურმა კომიტეტმა მხოლოდ 12-ჯერ შეამოწმა თავის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა. ეს ცუდი მაგალითია სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოებისათვის.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა. ამ დარგში გარკვეული მუშაობაა გაწეული. მაგალითად, ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი ნაწარმის რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში აყვანილია 253-დე. მაგრამ ეს მხოლოდ მოკრძალებული დასაწყისია, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებს. ხარისხისნიშნიანი ნაწარმი რესპუბლიკის წარმოების საერთო მოცულობაში მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენს, საშუალოდ ქვეყანაში კი 7 პროცენტი.

კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის მხრივ. საშუალოდ ყოველწლიურად კლებულობდა ხარისხი ან გამოსასწორებლად ბრუნდებოდა გამოშვებული ნაწარმის 20-25 პროცენტი. მხოლოდ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის უპასუხისმგებლობით თუ იიხსნება ის ფაქტი, რომ თბილისის „ამბოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაბრუნებულია 10 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, ხოლო ფაბრიკა „ისანში“ დიდი ხანია დაგროვდა 900 ათასამდე წყვილი გაუსაღებელი ფეხსაცმელი.

ასეთი ვითარებისათვის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი სახალხო კონტროლის ორგანოებზეც მოდის. მაგრამ აქ. ისევე როგორც ბევრ სხვა ორგანოში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მარკიანი ნაწარმის ხარისხის განხილული ამაღლებისათვის უნდა იბრძოდნენ. არ არის პრობლემისადმი მიზანმიმართული მიდგომა. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობას ფორმალიზმის, ზერელეობის, ეპიზოდურობის კვალი ატყვია.

ხარისხის გაუმჯობესების ამოცანები კომპლექსურად უნდა გადაწყვეტოთ. ორატორებმა აღნიშნეს პროფკავშირების დიდი როლი ამ საქმეში, განაცხადეს, რომ საჭიროა ყოველნაირად განვითარდეს სოციალისტური შეჯიბრება „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. საჭიროა უფრო ფართოდ გადაწყვეთ მოძრაობა დეკეზით „პროდუქციის ხარისხს — მუშური გარანტია“, ფართოდ დანერგოთ ბრიგადული ხარის ზღობინისეული მეთოდი, პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემის გამოყენების ლეგოველთა გამოცდილება.

კრებაზე აღინიშნა, რომ ბევრი საწარმო და ორგანიზაცია ვერ ასრულებს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებთა დაკალებებს, არის საბრუნავი საშუალებათა უყაირათო გამოყენების ფაქტები. ხაზგასმით აღინიშნა სახალხო-კონტროლის ორგანოების დიდმნიშვნელოვანი როლი სახსრების ბრუნვის დაჩქარების, დებიტორული დაკალიანების შემცირების, საგადამხდელო და სალაქო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველყოფაში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ითქვა, რომ მშენებლობა კვლავ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველაზე გიწრო უბნად რჩება. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ვერც ერთხელ ვერ შესრულდა კაპიტალური დაბანდების გეგმა, მთლიანად მეცხრე ხუთწლედში კი აუთვისებელი დარჩა 1,2 მილიარდ მანეთზე მეტი, რაც ერთი წლის კაპიტალური დაბანდების მთელ პროგრამას უდრის. თუმცა საცხოვრებელი სახლების, საყოველთაოდ სასარგებლო ნაგებობების ხუთწლედის ბოლო სამი წლის გეგმა შესრულდა, პირველ ორ წელიწადში საერთოდ გეგმის დაკლეს 408 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, ანუ 8 ათასი ბინა, რომლებიც უზრუნველყოფდა 30 ათას კაცს.

მრავალრიცხოვან ობიექტებზე ძალებისა და სახსრების დაფანტვა აჭიანურებს შშენებლობის ვადებს, ამორიცხავს თანამედროვე პროექტების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია შემსუბუქებული კონსტრუქციები და საშენ მასალათა მინიმალური ხარჯვა. წარმართავენ თუ არა პარტიული კომიტეტები სახალხო კონტროლის ორგანოებს ამ პრობლემების შესასწავლად და შესაბამის ღონისძიებათა განსახორციელებლად? სამწუხაროდ, არა. სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობაში მწვანებლობის საკითხები დღემდე განზე რჩება.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენმა რესპუბლიკამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობის დარგში. მაგრამ არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების ჯერ კიდევ არ იყენებენ დამაკმაყოფილებლად. ამ საქმეში სახალხო კონტროლის ორგანოებს საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვთ. საკმარისია თქვას, მაგალითად, რომ საქართველოში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მცირემიწიან რესპუბლიკაში, სარწყავი და ამოშრობილი მიწების ტერიტორია უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 147 ათასი ჰექტარით შემცირდა, რაც სრულიად შეუწყნარებელია.

მოსახლეობის საკვებო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სამედიცინო მომსახურების სფერო უშუალოდ დაკავშირებული ხუთწლედის მთავარი ამოცანის — შრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაწყვეტასთან. რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს ბევრი რამ კეთდება ამ სამსახურების საქმიანობის დონის ასამაღლებლად. მაგრამ ამასთანავე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე სამართლიანი შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილებებს. ადამიანები კანონიერად არიან აღშფოთებულნი და გულისწყრომას გამოთქვამენ ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების, უხეშობის, უყურადღებობის, მშრომელთა საჭიროებების უგულგულეყოფის ფაქტების გამო, რომლებსაც ჯერ კიდევ ვაწყდებით.

სახალხო კონტროლიორები მუდამ არ იჩენენ საჭირო აქტივობასა და პრინციპულობას, საკმარისად არ აცხობენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ადგილებზე საქმის რეალურ მდგომარეობას, არ ახორციელებენ ღონისძიებებს მიღებულ სგნანაგებზე.

კრებაზე აღინიშნა, რომ ყოველგვარი ხელმძღვანელ საქმისნაგი, რომლებიც ხალხის დოვლათს ხელყოფენ, ითვალისწინებენ ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის შექმნილ ატმოსფეროს და ქმედეოონიანით ეცვლიან ფერს, ეგუებიან ახალ ეპოქებს. თუ თ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲪᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ რამდენი მე დღეა გადაუდებლად თოვს. მრავი დამძიმებიათ ცადატყორცნილ ნაძვებს და ფიჭვებს. სახლებს კი მხოლოდ ფაჯრები მოუჩანს. აქაურები ამბობენ, ბაკურიანში ასეთი დიდი თოვლი ჯერ არ გვინახავსო.

დიახ, ცაც უხვად უმასპინძლდება თავის შვილებს — საბჭოთა კავშირის მფრინავ-კოსმონავტებს, რომლებიც აქ დასასვენებლად ჩამოსულან.

პირველად შეკრების ხელმძღვანელს შევხვდით.

— ჩემი თხოვნა იქნება, ბიჭებს დიდ დროს ნუ წაართმევთ. თუმცა ამის საშუალებას თვითონაც არ მოგცემენ, — ღიმილით ამბობს იგი.

— წავიდეთ, ახლა კოსმონავტები საღილზე იქნებიან, ვეცდები, თვითეულს ცალცალკე შეგახვედრო თ. ოჭო, ამას უკვე უსაღილია და ახლა ახალ გაზეთებს კითხულობს! მფრინავმა-კოსმონავტმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევმა ერთი კი შემოგვხედა და კვლავ გაზეთის კითხვა განაგრძო.

— ალექსი სტანისლავის-ძეკ, — სთხოვა შეკრების ხელმძღვანელმა — თუ არ შეწუხდებით, მოუსმინეთ ამსაზნაგებს.

— რას იტყვით იმაზე, რომ კოსმოსის კარი პირველად საბჭოთა ადამიანმა შეაღო? — შეეკითხეთ ელისეევს.

— სამშობლოს სიყვარული, საბჭოთა ადამიანის ნებისყოფა, მისი ბუნება და ბედნიერი მომავლისაკენ სწრაფვა, სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფალური წინსვლა... გაგარინის ასეო მეგობარი ვიყავი, როცა მას ეუცქერდი. გულში ვამბობდი, პირველად სწორედ ასეთ ადამიანს უნდა შეეღო კოსმოსის კარი-მეთქი.

— რას გვეტყვით კოსმოსის ათვისების მომავალზე.

— აქაც გაგარინს მოვიშველიებ. მან ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა: — „უფლება არა გვაქვს დავტოვოთ ის, რაც დავიწყეთ, რასაც შევწირეთ მთელი დრო, ნერვები და სიცოცხლე“ — ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი, — თქვა და სკამიდან წამოდგა. მანდილოსანს შეეკითხა, რომელიც სასადილო დარბაზიდან გამოვიდა.

— როგორ არის საქმე? მოამთავრეთ მასთან საუბარი? — შეეკითხა შვილების ხელმძღვანელი და მოსდგა ტანის კაცი შეაჩერა.

— გაიცანით მფრინავ-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ვიტალი ივანეს-ძე სევასტიანოვი!

ვიტალიმ თავის აგარაკზე მიგვიწვია. გარეთ ისევ ბარდნის, სიარული გვიჭირს, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ფოლზე კი არა, სილაზე მივდიოდეთ.

— რომ მცოდნოდა, აქ ასეთი სამოთხე იყო, კოსმოსური ხომალდით გავჩერდებოდი, ერთი ლაზათიანად დავისვენებდი და შემდეგ ისევ გავფრინდებოდი, — ღიმილით გვეუბნება ვიტალი სევასტიანოვი და თან თავისი აგარაკის კარი შეხსნა.

ვიტალი რბილ სავარძელში ჩაეშვა.

— თქვენი გაფრენის შესახებ საუბრობდით. გთხოვთ. განაგრძოთ.

— ამის მოყოლას დიდი დრო დასჭირდება. მოკლედ გეტყვით, ორჯერ გავფრინდი. დრო, რაც კოსმოსში დავყავი, ერთად აღებული 81 დღედაღამე გამოდის, ამ დროს მანძილზე 1279-ჯერ შამოვუფრინე დედამიწას.

— კოსმოსში დასვენების დღეს როგორლა იყენებთ?

— ამ დღეს დაგეგმილი არ არის მეცნიერული მუშაობა. ხომალდს ტექნიკურად ვამოწმებთ, ვარეფონტებთ, თუ რომელიმე სისტემას დასჭირდება. ზოგჯერ კი, როცა ყველაფერი რიგზეა, ჩვენი დასვენება ის არის, რომ დედამიწას ვუყურებთ, ვწერთ დღიურებს, ვსაუბრობთ ოჯახის წევრებთან და ამავე დროს საათში 30.000 კილომეტრს ვფარავთ.

— თან ღიღინებთ, ალბათ?

— მიმიხვდით. ჩავიღიღინებ ხოლმე ლობორნრავოვის ტექსტზე დაწერილ პასმუტოვას სიმღერას „იმედს“, კიდევ რა გაინტერესებთ, შემეკითხეთ, ნუ ეგრილდებათ.

— გაგარინზე რას გვეტყვით?

— 1960 წელს გაგარინს, ტიტოვს, კომაროვს და სხვებს კოსმოსური გაფრენის მეკანიკაში ლექციას ვუკითხავდი. ისე რომ, ახლოს ვიცნობდი, ბაგრამ მაინც მიჭირს მისი დახასიათება. უპირველეს ყოვლისა, იგი კაცური კაცი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები და ამხანაგები. ყოველივე კარგს ღრუბელივით იწოვდა და ითვისებდა, დიდ პატივს სცემდა მეუფლესა და შვილებს, ყოველთვის იღიმებოდა. იშვიათად ნახავდით დაღონებულს. თავალი სულ კოსმოსისაკენ ეჭირა. ჩვენს პლანეტაზე ალბათ მისი მსგავსი არ მოიძებნება, რაღაცნაირი, ციური ადამიანი იყო...

... იმ დღეს, პარაშუტით ხტომაში ვვარჯიშობდით, სასწრაფოდ გამოგვიძახეს. როცა ადგილზე დავეშვით, დღის 12 საათი იქნებოდა. მაშინ შეგვატყობინეს, გაგარინს საწყვავი გაუთავდა და დაიღუპაო. არავის გვჯერა. მისი დაღუპვა ვერ წარმოგვედგინა. სადამომდე ვეძებეთ, ვიმედოვნებდით, იქნებ ცოცხალი გადარჩაო, მაგრამ ამაოდ.

მეორე დღეს დილით ზამთრის სუსტმა მზემ გამოანათა, სქელი თოვლის ზედაპირი თეალისმომჭრელად აბრწყვიალა. სწრაფი ნაბიჯით მივდიოდით ტაქვე, რომ კოსმონაუტებს შევხვდეთ.

მფრინავი-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე რუკავიშნიკოვი თავის აგარაკზე არ დაგვიხვდა, გვეთხრეს, თბილამურებით არის წასული და ტრასაზე თუ ნახავთო.

კითხვა-კითხვით მოვძებნეთ კოსმონავტების სათხილამურო ბილიკები. მოუთმენლად ველით მათს გამოჩენას.

— ალექსი სტანისლავის-ძეკ, — სთხოვა შეკრების ხელმძღვანელმა — თუ არ შეწუხებდით, მოუსმინეთ ამსაზნაგებს.

— რას იტყვით იმაზე, რომ კოსმოსის კარი პირველად საბჭოთა ადამიანმა შეაღო? — შეეკითხეთ ელისეევს.

— სამშობლოს სიყვარული, საბჭოთა ადამიანის ნებისყოფა, მისი ბუნება და ბედნიერი მომავლისაკენ სწრაფვა, სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფალური წინსვლა... გაგარინის ასეო მეგობარი ვიყავი, როცა მას ეუცქერდი. გულში ვამბობდი, პირველად სწორედ ასეთ ადამიანს უნდა შეეღო კოსმოსის კარი-მეთქი.

—რას გვეტყვით კოსმოსის ათვისების მომავალზე.

— აქაც გაგარინს მოვიშველიებ. მან ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა: — „უფლება არა გვაქვს დავტოვოთ ის, რაც დავიწყეთ, რასაც შევწირეთ მთელი დრო, ნერვები და სიცოცხლე“ — ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი, — თქვა და სკამიდან წამოდგა. მანდილოსანს შეეკითხა, რომელიც სასადილო დარბაზიდან გამოვიდა.

— როგორ არის საქმე? მოამთავრეთ მასთან საუბარი? — შეეკითხა შვილების ხელმძღვანელი და მოსდგა ტანის კაცი შეაჩერა.

— გაიცანით მფრინავ-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ვიტალი ივანეს-ძე სევასტიანოვი!

ვიტალიმ თავის აგარაკზე მიგვიწვია. გარეთ ისევ ბარდნის, სიარული გვიჭირს, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ფოლზე კი არა, სილაზე მივდიოდეთ.

— რომ მცოდნოდა, აქ ასეთი სამოთხე იყო, კოსმოსური ხომალდით გავჩერდებოდი, ერთი ლაზათიანად დავისვენებდი და შემდეგ ისევ გავფრინდებოდი, — ღიმილით გვეუბნება ვიტალი სევასტიანოვი და თან თავისი აგარაკის კარი შეხსნა.

ვიტალი რბილ სავარძელში ჩაეშვა.

— თქვენი გაფრენის შესახებ საუბრობდით. გთხოვთ. განაგრძოთ.

— ამის მოყოლას დიდი დრო დასჭირდება. მოკლედ გეტყვით, ორჯერ გავფრინდი. დრო, რაც კოსმოსში დავყავი, ერთად აღებული 81 დღედაღამე გამოდის, ამ დროს მანძილზე 1279-ჯერ შამოვუფრინე დედამიწას.

— კოსმოსში დასვენების დღეს როგორლა იყენებთ?

— ამ დღეს დაგეგმილი არ არის მეცნიერული მუშაობა. ხომალდს ტექნიკურად ვამოწმებთ, ვარეფონტებთ, თუ რომელიმე სისტემას დასჭირდება. ზოგჯერ კი, როცა ყველაფერი რიგზეა, ჩვენი დასვენება ის არის, რომ დედამიწას ვუყურებთ, ვწერთ დღიურებს, ვსაუბრობთ ოჯახის წევრებთან და ამავე დროს საათში 30.000 კილომეტრს ვფარავთ.

— თან ღიღინებთ, ალბათ?

— მიმიხვდით. ჩავიღიღინებ ხოლმე ლობორნრავოვის ტექსტზე დაწერილ პასმუტოვას სიმღერას „იმედს“, კიდევ რა გაინტერესებთ, შემეკითხეთ, ნუ ეგრილდებათ.

— გაგარინზე რას გვეტყვით?

— 1960 წელს გაგარინს, ტიტოვს, კომაროვს და სხვებს კოსმოსური გაფრენის მექანიკაში ლექციას ვუკითხავდი. ისე რომ, ახლოს ვიცნობდი, ბაგრამ მაინც მიჭირს მისი დახასიათება. უპირველეს ყოვლისა, იგი კაცური კაცი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები და ამხანაგები. ყოველივე კარგს ღრუბელივით იწოვდა და ითვისებდა, დიდ პატივს სცემდა მეუფლესა და შვილებს, ყოველთვის იღიმებოდა. იშვიათად ნახავდით დაღონებულს. თავალი სულ კოსმოსისაკენ ეჭირა. ჩვენს პლანეტაზე ალბათ მისი მსგავსი არ მოიძებნება, რაღაცნაირი, ციური ადამიანი იყო...

... იმ დღეს, პარაშუტით ხტომაში ვვარჯიშობდით, სასწრაფოდ გამოგვიძახეს. როცა ადგილზე დავეშვით, დღის 12 საათი იქნებოდა. მაშინ შეგვატყობინეს, გაგარინს საწყვავი გაუთავდა და დაიღუპაო. არავის გვჯერა. მისი დაღუპვა ვერ წარმოგვედგინა. სადამომდე ვეძებეთ, ვიმედოვნებდით, იქნებ ცოცხალი გადარჩაო, მაგრამ ამაოდ.

მეორე დღეს დილით ზამთრის სუსტმა მზემ გამოანათა, სქელი თოვლის ზედაპირი თეალისმომჭრელად აბრწყვიალა. სწრაფი ნაბიჯით მივდიოდეთ

კვლავ კაშკაშებენ ნათურები

სტიქია და ადამიანი

ყლეანდელმა მკაცრმა ზამთარმა საქართველოს ყველა კუთხეს „გაუნაწყლა“ სიძველეები, მაგრამ, განსაკუთრებით, აგი, რა თქმა უნდა, მაღალმთიან რაიონებში ავოს: ყაზბეგის რაიონის მოსახლეობას, ბუნების სიმკაცრეს შეჩვეულ ამ ადამიანებსაც კი, კარგა ხანია არ უნახავთ ასეთი ხანგრძლივი უამინდობა და დიდთოვლობა.

რამდენიმე დღის განუწყვეტელმა თოვამ და ძაფრმა ქარბუქმა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შექმნა; ზვავებმა, მაღალმა თოვლმა ჩახერგა და დანამქრა გზები, შეაჩერა მიმოსვლა, ზოგიერთ სოფელში ქარმა სახურავები ახადა, დაზიანა სახლები.

გზების გასაწმენდად, მოძრაობის აღსადგენად, მთების ხეობებში განლაგებული სოფლების მოსახლეობის დასახმარებლად ძალავრი ტექნიკა იქნა გამოყენილი. მთელი მონდომებით, დაძაბულად მუშაობს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს № 27 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი, რომელიც საქართველოს სამხედრო გზას უწევს მომსახურებას, რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო-სამშენებლო უბანი.

სტიქიამ განსაკუთრებით სერიოზული საფრთხე შეუქმნა რაიონის ელექტროენერგიით მომსახურებას. მნიშვნელოვნად დაზიანდა მლეთა-ყაზბეგის ელექტროგადამცემი ხაზი; ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში ზვავებმა ორ ადგილას წალეკეს, დაანგრიეს ხაზები — გადაამტვრიეს რვატონიანი ბეტონის ანძები, დაწყვიტეს მავთულები. ყაზბეგის რაიონი საერთო ელექტროსისტემიდან გამოითიშა.

ელექტროენერგიის შეწყვეტამ რაიონის ცენტრსა და ზოგიერთ სოფელში შეაფერხა წყლის მიწოდება, გათბობის სისტემის, მომსახურების სხვა კომუნიკაციების მუშაობა. ამოქმედდა რეზერვი — მცირე სიმძლავრის ყაზბეგიპესი მდინარე ქისტურაზე. მაგრამ მას მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლო რაიონის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მან ელექტროენერგია მიაწოდა პირველი კატეგორიის მომხმარებლებს — ფოსტატელეგრაფს, საავადმყოფოს, პურსაცხობს, სასკოლო დაწესებულებებს.

ასეთ კრიტიკულ ვითარებაში დაშორებული მთიანი რაიონის მშრომელთა მიმართ ჩვეული ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, გადაწყდა ყაზბეგის რაიონს ელექტროენერგია მიეღო მეზობლებისაგან, ჩრდილოეთ კავკასიის ენერგოსისტემიდან, კერძოდ, ეზნინჩესიდან. მაგრამ ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისთვის საჭირო იყო ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში ელექტროხაზების აღრატიულად გაყვანა. უნდა აგებულიყო ელექტროგადამცემი ხაზი 4 კილომეტრ მანძილზე საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვართან არსებული საგზაო გვირაბიდან ყაზბეგიპესამდე.

ამ საძნელო საქმეს ორგანიზებულად, ერთსულოვანი დარაზმულობით შეუდგა „საქმთავარენერგოს“ ყაზბეგის ელექტროქსელების კოლექტივი. ელქსელის მუშაკები ხუთი დღეღამის განმავლობაში, შეუჩერებელ თოვაში, ყინვასა და ქარბუქში, დარიალის ხეობის ვიწროებსა და ციცაბო მთების კალთებზე განუწყვეტლივ ერთმანეთის შენაცვლებით ეზიდებოდნენ საშენ მასალებს, ანგრევდნენ და თრიოდნენ გაყინულ კლდოვან გრუნტს, აყენებდნენ ანძებსა და ჰიბავდნენ მავთულებს.

ჭეშმარიტი თავგაწირული, უდიდესი ფიზიკური დაძაბვით დღისითა და ღამით მუშაობდნენ, საფრთხესა და ყინვის სუსხს არ ეპუებოდნენ ელექტრომონტიორები და ტექნიკოსები, ინჟინრები და ადმინისტრაციული აპარატის მუშაკები, — ყველა ერთნაირად ინაწილებდა სიძნელეს, არ ზოგავდა თავს, გამსჭვალული იმის შეგნებით, რომ აუცილებელი იყო ელექტროენერგიის მიწოდების დაუყოვნებლივ აღდგენა.

უზომო დაქანცულობისა და უძილობისაგან თვალს უპვები ჩაშავებიათ, ყინვისაგან სახე, ტუჩები, ხელების კანი დასკდომიათ, მაგრამ კმაყოფილებით იღიმებიან დიდი საქმის პირნათლად შესრულებით გამოწვეულ წინარეულს განიცდიან ელექტროსულები.

„ვინ გამოიჩინა თავი? ბარიშელი ერთი დგებისაზელოთ! — შეკითხვაზე კითხვითვე გვპასუხებს ელქსელების დირექტორი გურამ სუჯაშვილი, რომელიც დაღლილობისაგან თვითონაც ძლივსა დგას ფეხზე—რომ იტყვიან, რაც შეეძლოთ, იმაზე მეტი გააკეთეს ჭარმაგმა ადამიანებმა, ელექტრომონტიორებმა სტეფანე ბაბალმა, ალექსი ხუციშვილმა, დიმიტრი სუჯაშვილმა, მიხეილ ქისტურმა, ახალგაზრდებმა ელდარ გომიაშვილმა, ოთარ ქუშაშვილმა, ბადრი შიოლაშვილმა, ზაურ მაისურაძემ... წუთით არ ჰქონიათ მოცლა მძღოლებს გიგო ფაჯიშვილს, ბიჭიკო ქირიკაშვილს, მთავარ ინჟინერს უშანგი კაბალიკაშვილს, ლაბორატორიის გამგეს სტეფანე ქირიკაშვილს. გვერდიდან არ მოგეშორებიან ყაზბეგის რაიონის საკონტროლო-სამაშვილო სამსახურის უფროსი, ალბინისტი ბიჭიკო წიკლაური, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფრიალო კლდეებზე მოგვიხდა კაბელის გაჭიმვა“...

ახლა უკან დარჩა ეს უკიდურესად დაძაბული დღეები და ღამეები, ადამიანმა კიდევ ერთხელ სძლია სტიქიას — ყაზბეგის რაიონში, ხევში კვლავ კაშკაშებენ ელექტრონათურები.

თ. სალუქვაძე,
ყაზბეგის რაიონგაზეთ „დარიალის“ რედაქტორი.

სიმპოზიუმი პუშკინის სახლში

თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ლენინგრადში

ლენინგრადში პუშკინის სახლში სამ დღეს მიმდინარეობდა სიმპოზიუმი ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე, რომელიც მოიწვიე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტმა (პუშკინის სახლმა) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ქართველმა მეცნიერებმა აქ წაიკითხეს საინტერესო მოხსენებანი, ილაპარაკეს ქართული ფილოლოგიური სკოლის მიღწევებზე, ლიტერატურათმცოდნეებმა ერთმანეთს გაუზიარეს კვლევითი მუშაობის გამოცდილება. მეცნიერთა ამ შეხვედრით დაიწყო სიმპოზიუმების სერია, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირისა და ევროპის ქვეყნების ხალხთა ძველი ლიტერატურების შესწავლას.

ალანდელი სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: ლ. მენაბდესი — „ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ძირითადი პრობლემები“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ბარამიძისა — „რუსთველოლოგია განვითარების თანამედროვე ეტაპზე“, დოცენტების ლ. გრიგოლავილის, რ. სარაძის და გ. ფარულავასი — „ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლა“, „ძველი ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის შესწავლის პრობლემები“, „ძველი ქართული ლიტერატურის პოეტიკის შესწავლა“, პროფესორების ა. გვახარიას და ე. ხინთიბიძისა — „ძველი საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი“, პროფესორების ო. ბაქრაძის და თ. ბუაჩიძისა — „ძველი პერიოდის რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლა“ და „ქართულ ენაზე ძველი რუსული ტექსტების თარგმნის ზოგიერთი საკითხი“.

ქართველ მკვლევართა მოხსენებებს მაღალი შეფასება მისცეს რუსმა მეცნიერებმა.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა ნახეს დოკუმენტური ფილმები საბერძნეთში, ბულგარეთში ქართული კულტურის კერების, ძველი ქართული საგალობლების შესახებ. პუშკინის სახლში მოეწყო ძველი ქართული ხელნაწერებისა და წიგნების პირების გამოფენა.

(საინფორმო).

გამდიდრების სათგურები

თბილისის სამაზისო სანერგე მეურნეობა . დედაქალაქიდან მცხეთის მიმართულებით მდებარეობს. მისი დანიშნულებაა სხვადასხვა ჯიშის ყვავილებითა და მარადმწვანე წიწვიან-ფოთლოვანი ნერგით მოამარაგოს ჩვენი დედაქალაქის საწარმოები.

როგორ ასრულებს თავის დანიშნულებას ეს მეურნეობა?

მეხეთისაკენ მიმავალი მთავარი გზისკენ ცხრა კილომეტრი გავიარეთ თუ არა, მარჯვნივ აგურის შენობა გამოჩნდა.

—მეურნეობის კანტორა ეს არის,— მიგვითითეს ამ შენობაზე. კანტორაში მეურნეობის დირექტორი ე. გურიელიძე და პარტბიუროს მდივანი გ. კაჭახიძე დაგვხვდნენ. რამდენიმე წუთის საუბრის შემდეგ კაბინეტის ფანჯრიდან რომ გადავიხედეთ, იქვე ახლოს შევამჩნიეთ ვეებერთელა კაპიტალური ნაგებობა.

— რა კარგი სათბური გქონიათ — ვუთხარით მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანს.

— არა, ეს ჩვენი წარმოებისა არ არის, ჩვენი აგროტექნიკოსის ნოდარ ლოთიკაშვილისაა.

დაგვაინტერესა. შუშითა და რკინაბეტონით აგებულ ვეებერთელა კაპიტალურ სათბურში, რომლის ფართობი 100 კვადრატულ მეტრზე მეტია, შიგნით ცენტრალური გათბობა მოუწყვიათ, მიწა კვლებად დაუყვიათ და ორგანული სასუქი ბლომად შეუტანიათ, სარწყავი მილებიც გაუყვანიათ. კვლებში მშვენივრად გახარებული პამიდვრისა და კიტრის მცენარეებია.

იქვე გვერდით მეორე სათბური ვნახეთ. იგი მისი მეზობლის გეგეონა. მაგრამ...

— ესეც ჩვენი სათბურია. იქ უკვე მწიფე პამიდორია, კილოგრამ პამიდორს 4-5 მანეთად ვყიდით, — გულდამშვიდებით გვითხრა ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა.

გამოირკვა, რომ ეს სათბური, რომელიც 80 კვადრატულ მეტრამდეა, ჯერ კიდევ 1963 წელს აუგიათ. სპეკულაციის მანიათ შეპყრობილებს მადა გაეხსნათ და 1973 წელს დამატებით იქვე გვერდით 100 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის სათბური აეგო. მის აშენებაზე რამდენი ცემენტი, რკინა, მინა და სამშენებლო მასალა დაიხარჯა, ეს ყველაფერი მეზობლების, წარმოების და ხელმძღვანელი ამხანაგების თვალწინ მოხდა. მაგრამ რატომღაც კაცი ვერ გამოჩნდა, რომ ეთქვა, ერჩია —ასეთ დანაშაულს ნუ ჩადი, მეურნეობას ნუ არცსვენო.

სამწუხაროა, ისიც, რომ არავინ დაინტერესებულა, თუ ნ. ლოთიკაშვილმა ასეთი ვეებერთელა სათბური რა გზით აგო.

კომუნისტი გიორგი ნიკოლაიშვილი მეურნეობაში საყვავილეების განყოფილების გამგედ მუშაობს, ამავე დროს, როგორც თვითონ გვითხრა, თბილისის პირველი მაისის რაიონის ლენინგრადის ჯგუფშია, მეურნეობის ხელმძღვანელობს, ცხადია, ასეთი ადამიანი კარგ მაგალითს უნდა აძლევდეს სხვებს. ასე გვეგონა ჩვენც. სამწუხაროდ იმედი არ გამართლდა.

კანტორის ახლოს დეკორატიული ყვავილებითა და სხვა ნარგავებით მოწყობილი მშვენიერი კარმიდამოა. ყველაფერს ეტყობა მზრუნველი კაცის ხელი. ეს მოგვწონა, მაგრამ, გული გვატკინა იქვე გვერდით გ. ნიკოლაიშვილის მიერ აშენებულმა ვეებერთელა სათბურმა, რომლის ფართობი 276 კვადრატულ მეტრს აღწევს, აქედან 200 კვადრატულ მეტრზე პამიდორი, კიტრი და ყვავილებია. ასეთ კაპიტალურ სათბურს იშვიათად შეხვდებით. აქ გათბობისათვის დიდი ზომის ღუმელები მოუწყვიათ. სათბურში სითბო მუდამ 30 გრადუსამდე უნდა იყოს და ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, 276 კვადრატული მეტრი ფართობის გასათბობად სეზონში რამდენი ტონა საწვავი დასჭირდებათ. თუმცა რა მოხდა, პამიდორსა და კიტრს მამასისხლად ყიდის და სახელმწიფო ფაბრიკში საწვავის ყიდვა გაუძნელდება?

გ. ნიკოლაიშვილს სათბურში ცალკე ყვავილების განყოფილება მოუწყვია, ამისათვის 68 კვადრატული მეტრი ფართობი დაუთმია. აქ ნახავთ სხვადასხვა ჯიშის საუცხოო ქოთნის ყვავილებს, რომლის მსგავსი არათუ სანერგე მეურნეობაში, არამედ რესპუბლიკაშიც იშვიათად შეეხვდებათ...

ეს ერმუხისტი, აგრონომი გ. ნიკოლაიშვილი, როგორ დაადგა გამდიდრების იოლ გზას.

აგროტექნიკოს ნ. ლოთიკაშვილს, აგრონომ გ. ნიკოლაიშვილს და სხვებს თავიანთ საკარიდამო ნაკვეთზე სათბურებში ტონობით პამიდორი და კიტრი მოჰყავთ და დამამზადებლებს სახელმწიფო ფასად კი არ ბარებენ, არამედ კილოგრამს 4-5 მანეთად და უფრო მეტ ფასად ყიდიან, ამავე დროს სასუქებს, საწვავს, შხამქიმიკატებს, ტრაილპორტს, სურსათ-სანოვაგეს, ერთი სატყვეთ, ყოველივე აუცილებელს მტკიცე ფასად ყიდულობენ. ასეთი იოლი გზით მათი წლიური შემოსავალი 10-12-ჯერ აღემატება სანერგე მეურნეობაში კვალიფიციური მუშის ხელფასს.

როცა ნიკოლაიშვილისა და სხვათა ასეთი დამახინჯებანი, სპეკულაციით გატაცება ვამხილეთ, გვეკონა სირცხვილისაგან გაწითლდებოდნენ, ამიერიდან ძაინც ხელს აიღებდნენ იოლი გზით გამდიდრებაზე, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა. აი რა დაგვიწერა გ. ნიკოლაიშვილმა.

...„ჯამაგირით ყოველად შეუძლებელია აწარმოო ასეთი სასათბურე მეურნეობა, ე. ი. საჭიროა ისეთი წყაროს გამოსახვა, რომ ვაარსებო ყვავილნარი და ვიარსებო, ძხოლოდ ვიარსებო მეც. ამისათვის ვაკეთებ სათბურძი ხახ კიტრის კულტურას, ხახ პამიდვრის კულტურას, რაც ჯერჯერობით არც აკრძალული იყო და არც არავის დაუშლია ჩემთვის... რადგან დაბალი იყო სათბური 1972 წელს სიტყვიერი ნება მომცა მაშინდელმა დირექტორმა გ. ჭოღოშვილმა და სათბურს რეკონსტრუქცია გავუკეთე, უფრო გავაფართოე და სიმაღლესაც ოვუმატე. უკანასკნელ 3 წლამდე კილოგრამი პამიდორი 8-10 მანეთი ღირდა, ახლა ბევრს აქვს სათბური და შარშან 5 მანეთად ძლივს იყიდებოდა, წელს არ ვიცი — შეიძლება უფრო გაიაფდეს“ (სტილი დაცულია ძ. ჭ.).

რა ზომებს იღებს. პარტიული ორგანიზაცია?

არაფერს. ყოველივე ეს პარტიული ორგანიზაციის ფლიგანს ნორმალურად მიაჩნია. პარტიულ ბიუროს ერთხელაც არ უფიქრია იმაზე, რომ კოგბილისის სამაზისო სანერგე მეურნეობა . დედაქალაქიდან მცხეთის მიმართულებით მდებარეობს. მისი დანიშნულებაა სხვადასხვა ჯიშის ყვავილებითა და მარადმწვანე წიწვიან-ფოთლოვანი ნერგით მოამარაგოს ჩვენი დედაქალაქის საწარმოები.

ბიგბილისის საქართველოს

გზა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე

ფოთა ჩოჩიშვილი ამარცხებს ხაძუხირო ნინომიას

კვირას შეჯიბრების ბოლო დღეს სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ტევა არ იყო. ამ დღეს გაიმართა ყველაზე საინტერესო შერკინებები ეგრეთწოდებულ ახსოლუტურ წონაში. დებულების თანახმად აქ ასპარეზობა შეუძლიათ იმ სპორტსმენებს, ვისი საკუთარი წონა 80 კილოგრამს აღემატება. და აი, მსაჯთა კოლეგიის განცხადები ჩაიწერა 17 გოლიათის გვარი. მათ შორის იყვნენ ცნობილი ფალავნები — იეგოსლავიელი გორან ჟუველა, მოსკოველი ალექსეი ტიტორნინი, უნგრელი მიხალ პეტროვსკი, მსოფლიოს 1972 წლის ახსოლუტური ჩემპიონი იაპონელი ხაძუხირო ნინომია, ქართველ გულშემატკივართა ფალავანი — მოუხენის მე-20 ოლიმპიურო თამაშების ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი.

სპორტის სასახლის მაყურებელს ყველაზე მეტად შ. ჩოჩიშვილის ორთაბრძოლება აინტერესებდა, ის, თუ როგორ გაიელიდა იგი გზას კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე. დიახ! უმაღლეს საფეხურამდე, ვინაიდან მისგან, მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ. სხვათა შორის ამ საღამოს, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ, კვლავ დადგა დღის წესრიგში ბილეთის შოვნის პრობლემა.

როგორც მოსალოდნელი იყო შ. ჩოჩიშვილმა და ხ. ნინომიამ თავიანთ ქვეჯგუფებში ყველა მეტოქე წმინდათ დაამარცხეს და ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ.

და აი, მსაჯმა შესძახა „ჰაჯიმე“ — ბრძოლის დაწყების ნიშანი, იაპონური ტერმინი... ორთაბრძოლა დაიწყო. როგორც ყველა იაპონელი ათლეტი, ნინომიაც მოქნილი და უჩვეულოდ შეუპოვარია. იგი ხალიჩაზე განუწყვეტლივ მოძრაობდა, მეტოქეს თვეზეგით უსხლტებოდა. შ. ჩოჩიშვილიც ფრთხილად, მაგრამ გაეზრებულად მოქმედებდა. ერთ მომენტში გორელმა ფალავანმა მეტოქე აიტაცა და ხალიჩას გაკარა. ეს მოხდა 1 წუთისა და 45 წამის შემდეგ. შ. ჩოჩიშვილი მეშვიდე საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილზეა ა. ტიურინი.

ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა მსუბუქი წონის ძიუდოისტთა შეჯიბრებაც. პირველი ადგილი მოიპოვა ჩელიაბინსკელმა გენადი ივშინმა, ხოლო ქართველი მოკიდაველები ამირან ობგაიძე და ოლეგ ზურაბიანი შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ.

ო. კუსიანი,
სპორტის ოსტატი.

სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონი ჰოკეიში ხსრ კავშირის ნაკრები გუნდი.

კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდმა მაიკლ კილანინმა.

საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლის შესახებ კი მან თქვა:

— ჩემი მდგომარეობით მოვალე ვარ ნეიტრალიტეტი დავიცვა. სსრ კავშირის სპორტსმენთა წარმატებანი ყველასათვის ცნობილია. ეს შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. განსაკუთრებით მინდა შევეხო საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდში მესამე მეკარის დაშვების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ოლიმპიური სულისკვეთების სრული შესაბამისობით და ერთხელ კიდევ დადასტურა, რომ ჩვენი საბჭოთა მეგობრები კვლავ ერთგულად იცავენ ოლიმპიურ იდეალებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს განსაკუთრებული ატმოსფეროს შენარჩუნებას, რომლითაც მუდამ გამოირჩევა ოლიმპიადები.

საბოლოოდ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: სსრ კავშირი — 192 ქულა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 135, ამერიკის შეერთებული შტატები — 73, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 71, ავსტრია — 52, ფინეთი — 51, ნორვეგია — 50,5, შვეიცარია — 42, პოლანდია — 32,5, იტალია — 29, შვეცია — 24, კანადა — 23, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა და საფრანგეთი — თითო, ლიხტენშტაინი — 8, იაპონია — 7, უნგრეთი — 2, ავსტრალია და პოლონეთი — თითო ქულა. სულ კი ოლიმპიადაში მონაწილეობდა 36 ქვეყანა 276 ქალი და 1094 ვაჟი სპორტსმენი.

საღამოს ბერგიზელის მთის ძირას ჩაქრა ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც 12 დღეს გიზგიზებდა. ინსბრუკმა ამანათი გადაულოცა მეცამეტე თვირი ოლიმპიადის მასპინძელს ამერიკის ქალაქ ლეიკ-პლესიდს.

საბჭოთა სპორტის ტრიუმფი

დაიცურა თეთრი ოლიმპიადა

ინსბრუკში ფინეთში ჰქონდა XII ზამთრის ოლიმპიური თამაშებს.

შაბათს გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები ოლიმპიური თამაშებას პროგრამის კიდევ ორ სახეობაში — ოთხადგილიანი ციგით ბობსლეისტთა შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ეკიპაჟის წევრებმა მეინჰარდ ნემერმა, ოიჰენ ბაბიცმა, ბერნჰარდ გეერმესჰაუზენმა და ბერნჰარდ ლუმანმა. მეორე ადგილზე გავიდა შვეიცარიის მეორე ეკიპაჟი, მესამეზე გფრ-ის პირველი ეკიპაჟი.

დაძაბული ორთაბრძოლები ჰქონდათ ჰოკეისტებს. მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს გფრ-ის ნაკრებს ბრინჯაოს მედლების მოპოვებაში, ამერიკელებს კი ფრეიც ჰყოფნიდათ საამისოდ. დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა ალმაცოლობით ჩატარეს შუხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით —4:1.

და აი ყინულის ასპარეზზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ოლიმპიური ოქროს „მაძიებლები“ — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. საბჭოთა ჰოკეისტებს პირველობის მოსაპოვებლად ფრეიც ჰყოფნიდათ, მაგრამ თავდაპირველად საქმე არასახარბიელოდ წაუვიდათ — პირველი პერიოდი ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოიგო ანგარიშით 2:0. მეორე პერიოდში საბჭოთა გუნდმა როგორც იქნა „იპოვა თამაში“ და გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტ პერიოდში ჩეხოსლოვაკიელებმა კვლავ შეძლეს დაწინაურება — 3:2, მაგრამ 9 წუთში მსოფლიოს ჩემპიონებმა არათუ გაათანაბრეს, არამედ მოიგეს კიდეც მატჩი — 4:3. ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების უმაღლესი ჯილდო.

საბოლოოდ ადგილები ოლიმპიადაზე ასე განაწილდა — სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, გფრ, ფინეთი, აშშ, პოლონეთი.

კვირას ოლიმპიადის ბოლო აკორდი იყო მფრინავ მთთხილამურეთა ასპარეზობა გიგანტური ტრამპლინიდან ხტომაში. მასპინძელთა სასიხარულოდ ოქროსა და ვერცხლიც ავსტრიელმა სპორტსმენებმა იგდეს ხელთ — კარლ შხაბლმა და ტონი ინაუერმა. მესამე ადგილზე დარჩა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰენრი გლასი.

XII თეთრი ოლიმპიადის პროგრამა ამოიწურა. იგი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფული წარმატებით. ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის წარმომადგენლებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ასპარეზობის ისტორიაში, საბჭოთა სპორტის ისტორიაში, ჯერ არავის არ მიუღია ზამთრის ოლიმპიადებზე ამდენი ჯილდო — 27 მედალი, მათ შორის 13 ოქროსი, 6 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოსი.

— ვფიქრობ, ინსბრუკის ოლიმპიურმა ასპარეზობამ მწვავე სპორტულ ბრძოლაში, ძალიან მაღალ დონეზე ჩაიარა, — თქვა საკდესის სპეციალური

სურათზე: გამარჯვებულთა კვარცხლბეკი ABSOLUTUTUR წონითს კატეგორიაში. შ. ჩოჩიშვილი (ცენტრში), ხ. ნინომია (მარცხნივ) და ა. ტიურინი.

სკოლა—ფერმას

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ვაჟიჯვრის საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები ამ დღეებში ეწევიენენ ფამფალეთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას. სკოლის დირექტორი მ. გოლიაძე, სასკოლო პარტიული ორგანიზაციის მდივანი კ. ბუბუტეიშვილი, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე მ. თხილაიშვილი ფერმის მუშაკებს ესაუბრნენ საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროგენტზე სკკპ XXV ყრილობისათვის.

სკოლის ქართული ხალხური საკრავების ანსამბლმა (ხელმძღვანელი ვ. სადრაძე) საინტერესო კონცერტი გაძართა მეცხოველეებთან. ამავე დროს მუყაოებს გადასცეს ახალი ჟურნალ-გაზეთები, მხატვრული ლიტერატურა.

□

ახალ

საწარმოებში

სოხუმი. საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანება „საქპურკონდიტერმა“ სოხუმში აშენა საკონდიტრო ფაბრიკა. საწარმომ პირველი პროდუქციის გამოშვება დაიწყო.

ეკონომია

17 თებერვალი

პირველი პროგრამის.

10.30 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ (ბეთუთ სერია), ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაე, მუდამ იყოს მზე!“, 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვისაუბროთ უწუთო მუშაობის სისტემაზე“, (ქართულ ენაზე), 19.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცისარტყელა ქვაში“, 19.10 — სპორტული მიმოხილვა, 19.35 — „ახალი ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია“, 20.00 — დოკუმენტური ფილმი „კორვალანის გული“. პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — უფროსებისათვის — ნაბიჯი ფილმი, 21.00 — „ოჯამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „ეპიზოდური როლი კინოში“. დასასრულ — ახალი ამბები.

ტელევიზია

17 თებერვალი

პირველი პროგრამის.

10.30 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ (ბეთუთ სერია), ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაე, მუდამ იყოს მზე!“, 18.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვისაუბროთ უწუთო მუშაობის სისტემაზე“, (ქართულ ენაზე), 19.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცისარტყელა ქვაში“, 19.10 — სპორტული მიმოხილვა, 19.35 — „ახალი ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია“, 20.00 — დოკუმენტური ფილმი „კორვალანის გული“. პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — უფროსებისათვის — ნაბიჯი ფილმი, 21.00 — „ოჯამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „ეპიზოდური როლი კინოში“. დასასრულ — ახალი ამბები.

ოპერა

18 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 08.00—„ბავშვთა „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საბალეტო მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ფრაგმენტები ქართული ოპერეტებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „ბუნება ჩვენს ირგვლივ“, 11.05 — „ა. ეშპაი. მესამე სიმფონია, 11.45 — „მწვრალი მიკროფონთან“, 12.10 — ახალგაზრდობისათვის „პატაკზე ხელის მოწერის უფლებისათვის“, 12.30 — „პარტიის ყრილობის შესახვედრად“. რეპორტაჟები რუსეთის ფედერაციის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების შრომით წარმატებებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — სქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრის კონცერტი, 19.00 — „მედიცინა — ხალხს“, 19.12 — უკრავს ინსტრუმენტული ანსამბლი „ტერცია“, 19.40 — მილინთა ლეონური უნივერსიტეტი. საუბარი „სოციალისტური ცხოვრების წესის ეკონომიური საფუძვლები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — გ. ცაბაძე. სიმღერები.

ოპერა

18 თებერვალი

პირველი პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა თქვენდა“, 19.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 20.00 — განცხადებები, 20.05 — სტუდენტთათვის — პოლიტეკონომია, 20.50 — მხატვრული ფილმი „სერგეი ლაზო“.

ეკონომია

17 თებერვალი

ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ნასიან ბრძენი** (პრემიერა), **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ივთიმ გურჯი**, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ძველი თბილისის სურათები.**

ეკონომია

ეროკლიდ

კალაბურია. სვერდლოვსკში მიმდინარე უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგ ტურებში თბილისის „დინამომ“ ორი გამარჯვება მოიპოვა. ქართველმა სპორტსმენებმა ჯერ დაამარცხეს ტარტუს „კალევი“, ანგარიშია 92:89, ხოლო შემდეგ რიგის არმიელთა გუნდი — 88:86 (34:52). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა-„სტროიტელი“ (კიევი) — 104:83, ცსკა-„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — 84:86, ცსკა-„კალევი“ — 97:81, „სტროიტელი“-„ურალმაში“ — 115:84.

პირველი ჯგუფის გუნდების ასპარეზობის ორი მატჩი გაძართა თბილისის „ბურევესტნიკიძა“ ტოლიატში, საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტთან — ადგილობრივ „ტრუდთან“ და ორივე წაგო — 71:86 და 83.94.

რიგაში დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ამ ტურში დამაცხეს ვერავინ გადაურჩა. ასე, მაგალითად, მრავალგზის ჩემპიონმა რიგის ტტტ-ს გუდდმა წაგო მოსკოვის „დინამოსთან“ — 66:71